7 ნოემ-ტ.
5/3 ✓ 10909

მათ საუკუნეებად, ვინც ყოველთვის ჩვენს გვერდით იდგა, იზიარებდა ჩვენს ლხინსა და გაჭირვებას, ვისი კეთილი სტუმარიც უკანასკნელი წლების მანძილზე იყო „ახალგაზრდა ივერიელი“—ჩვენს ხელისმოწერლებს, ჩვენს მკითხველებს!

ახალგაზრდა ივერიელი

2
ნოემბერი
შაბათი
1991
№ 125-126
(11758-59)

1921

ფასი 20 კაპ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ორშაბათს, 28 ოქტომბერს ტელევიზიით ყველამ მოისმინა და ნახა (მეორე დღეს ის რამდენჯერმე გაიმეორეს რადიოთი) თბილისში მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ წარმოთქმული სიტყვა. ბატონმა პრეზიდენტმა, რბილად რომ ვთქვათ, მკაცრად გააკრიტიკა ჩვენი გაზეთი, რომელიც, მისი თქმით, ბოღმასა და შხამს ანთხევს და კომუნისტურ-კომკავშირულ ტრადიციებს აგრძელებს (მკითხველებს და ბატონ პრეზიდენტს ბოდიშს ვუხდით, მაგრამ ვინაიდან არ გვაქვს ჩანაწერი, სრულ ტექსტს ვერ ვბეჭდავთ).
თუ მკითხველს, ბატონ პრეზიდენტს და პრეზიდენტის ინფორმაციის სამსახურის მუშაკებს სურვილი ექნებათ გაეცნონ ამის შესახებ ჩვენს მოსაზრებას, ვთხოვთ, წაიკითხონ პუბლიკაცია გაზეთის მეორე გვერდზე.

მომავალი წლიდან „ახალგაზრდა ივერიელი“ თავისუფალი, დამოუკიდებელი გაზეთი იქნება. იმედია, არ შეგვაქცევთ ზურგს და კვლავაც გამოიწერთ ჩვენს გაზეთს, რომელიც ყოველთვის ცდილობდა და შესაძლებლობისამებრ კიდეც ახერხებდა ერისადმი სამსახურს, ობიექტურობის დაცვას, ყველა საჭირისუფლო საკითხზე თავისი პირუთვნელი სიტყვის თქმას, გპირდებით, რომ მომავალშიც ჩვენი მუშაობის მთავარი პრინციპი იქნება **სიმართლე, მხოლოდ სიმართლე.**

გამოიწერეთ „ახალგაზრდა ივერიელი“

— 1 წლით ხელმოწერა ღირს 15 მანეთი
— 6 თვით — 7 მან. და 50 კაპ.
— 3 თვით — 3 მან. და 75 კაპ.
— 1 თვით — 1 მან. და 25 კაპ.

თქვენი თანადგომის იმედით, „ახალგაზრდა ივერიელები“

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნა:

გია დანიელის ძე თოფურია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად.

თეიმურაზ უშანგის ძე ლორია საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ.

ვლადიმერ თამაზის ძე ხუსაინოვაძე ზესტაფონის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ახალგაზრდა კომუნისტი

სამშაბათი, 13 აპრილი, 1989 წ. № 44 (11274)

საქართველოში საოთველთაო ბლოკადა

...დანდობა გვისურვებია

ვრცელი თქმა ერთი



გამოსვლის გამო

საქართველომ ილიას გზა აირჩია. რა თქმა უნდა — ქართულმა პრესამაც. სხვა საქმეა როგორ და რამდენად სწორად მივყვებით მას, მაგრამ დღეს, ალბათ, არ მოიძებნება ისეთი ჭეშმარიტი ქართველი, ვისთვისაც ენის, მამულისა და სარწმუნოების — ამ სამი მარადიული ხატის განუყოფლობა და უცილობელი დაცვა სათუო იყოს.

რახან დიდი ილია გახსენეთ, ჩვენთვის, ახალგაზრდა ჟურნალისტებისთვის, მით უფრო „ივერიელებისთვის“ შეუცვლელ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა და წარმოადგენს თავად ილია ჭავჭავაძის შეხედულება პრესისა და საერთოდ პუბლიცისტური მოღვაწეობის დანიშნულების შესახებ. ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება მისი გახსენება:

„ჟურნალ-გაზეთობას ორგვარი დანიშნულება აქვს. ერთის მხრით იგი არის შუამავალი ცხოვრებისა და მეცნიერების შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოვებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმარდისა. ეგ შემარიტებისა; მეორეს მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში სჩანს და ისახება ყოველ-დღიურის აზრის მიდენ-მოდენა“.

და ჩვენც ეროვნული მოძრაობის ახალი აღზევების დღეებიდან, 1988 წლის ნოემბრის აქციებიდან მოყოლებული, შეძლებისდაგვარად ვცდილობდით, საქართველოში ჭეშმარიტებას დავდგომოდით ქომაგად და აგვესახა „ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა“.

ჩვენ ზემოთ სიტყვა **შეძლებისდაგვარად** ვიხმარეთ და ეს სულაც არ არის შემთხვევითი. კარგად გვესმის და გვჯერა, მკითხველებიც გაგვიგებენ, რომ იმ პერიოდში იმ ფორმით და იმ სიძლიერით ეროვნული იდეების, „აზრის მიდენ-მოდენა“, როგორც ამის ასახვა სასურველი იყო, რა თქმა უნდა, შეუძლებელი გახლდათ. მიუხედავად ამისა, „ახალგაზრდა ივერიელს“, იმ დროს — „ახალგაზრდა კომუნისტს“ (ეს სახელი მას ოქტომბრიანი წლებიდან ერქვა და დღევანდელი — „ახალგაზრდა ივერიელები“ აქ არაფერ შუაში ვართ) ცდა და მონდომება არ დაუკლია საქმისათვის. შეიძლება, ეს არც [illegible]ის სალაპარაკო, მაგრამ ფაქტია, [illegible]ომ ნოემბრის შემშლელობის აქციის დროს, თუ არ ვცდებით, საერთოდ საბჭოური ოფიციალური [illegible]ესის ისტორიაში პირველად დაბეჭდა ინფორმაცია იმის შესახებ, [illegible]ომ კომუნისტურ „სამოთხეში“ [illegible]ის დიდი ნაწილი ხალხისა, რომელიც ამ „სამოთხიდან“ გათავისუფლებას ესწრაფვის და იბრძვის [illegible]ამოუკიდებლობისათვის. და ეს [illegible]ბეჭდა, გავიხსენებთ, **„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის“** ყოფილ ორგანოში. ეს მასალა, „გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებული, კარგა ხანს უპრეცედენტო იყო ქართულ პრესაში. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რა [illegible]ბერება მოჰყვა ამას მაშინდელ ხელისუფალთა მხრიდან. მაგრამ ბედნიერი იყო ჩვენთვის ის დღე, როცა ღამის 3 საათზე, არ ვიცით, რა საშუალებით მოტანილ ჩვენს გაზეთს მოშიმშილეები და მათი მხარდამჭერნი დიდის ინტერესით ეცნობოდნენ.

რატომ და ვისი ან რისი კარნახით გავაკეთეთ ეს? ვითომ „კომკავშირელები“ რომ ვიყავით, იმიტომ?

გადავიდეთ შემდგომ ეტაპზე.

გახსოვთ, ალბათ, 1989 წლის დასაწყისში, თებერვლის ამბები, შემდგომ აპრილის აქცია და სისხლი, რუსთაველის გამზირზე აჩეხილ ქართველ მამულიშვილთა თავგანწირვა. ნებისმიერ მკითხველს, დაინტერესებულ პიროვნებას შეუძლია იმ ნომრების ნახვა და ყველაფერში საკუთარი თვალით დარწმუნება, მაგრამ ყველაფერ ამას თავი რომც დავანებოთ, როგორ არ უნდა გაგახსენოთ ის ფაქტი, რომ „ახალგაზრდა კომუნისტის“ — 1989 წლის 13 აპრილის ნომერს „მოლოდიოჟ გრუზინ“ ბედი ეწია. ქართველების სისხლისმსმელმა გენერალმა როდიონოვმა და მისმა დამქაშებმა დააპატიმრეს და, ამ სიტყვის პირდაპირი და სრული გაგებით, ფეხქვეშ გათელეს ორივე გაზეთი (ეს, ცუდად, მაგრამ მაინც ჩანს გამოქვეყნებულ ფოტოზე). მიზეზი? გახსოვთ, ალბათ, „მოლოდიოჟკაში“ გენერალს იური როსტის ობიექტური და მიუკერძოებელი ფოტორეპორტაჟი არ მოეწონა. ჩვენ კი პირველებმა (ალბათ, სჯობს, ვთქვათ — ერთ-ერთმა პირველებმა) გამოვაშკარავეთ ქართველების მიერ ურთიერთჭყლეტის ვერსიის სიცრუე და ანტიადამიანურობა, რომ მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ გამოყენებული იყო მომწამვლელი გაზები და საბრძოლო ნიჩბები. სხვათა შორის, ჩვენი გაზეთი ერთადერთი იყო, რომელმაც უარი თქვა დაბეჭდა თავის გადასარჩენად გადმოგდებული მთავრობის ოფიციალური განცხადება.

თუ ვინმეს ამაშიც ეპარება ეჭვი, გადაშალოს ჩვენი გაზეთის 11 და 13 აპრილის ნომრები და შეუძლია თვით დარწმუნდეს ჭეშმარიტებაში. სიმართლე გითხრათ, გვიჭირს ყველაფერ ამის გახსენება, უფრო სწორად ის, რომ გვიწევს ამის შეხსენება მათთვის, ვისაც „ახალგაზრდა ივერიელს“ ეროვნულ პოზიციებზე დგომა ეეჭვება, მაგრამ რა გაეწყობა. ეტყობა, ეს მაინც საჭიროა.

ახალგაზრდა ივერიელი

სამშაბათი, 20 მარტი, 1990 წ. № 31 (11517)

დღეს ჩვენი გაზეთი ახალი სათაურით გამოდის

ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ

არის საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი

რახან საუბარი პროტესტზე ჩამოვარდა, საკითხავია, რატომ გავაკეთეთ ესეც, ვითომ „კომკავშირლები“ რომ ვიყავით იმიტომ? ნალბანდი წინაპრების პატრონებს, ხარაზობას რა გვრჯიდა?

9 აპრილის შემდგომ პერიოდში ჩვენი გაზეთი თითქმის ყველა ნომერში ბეჭდავდა ვრცელ მასალებს, ინფორმაციებს, რეპორტაჟებს, ინტერვიუებს, არაფორმალების (როგორც მათ მაშინ უწოდებდა ოფიციოზი) მიმართვებს, განცხადებებს, რეზოლუციებს. და ყოველთვის, ყოველ ნომერში გაზეთი შეძლებისდაგვარად ცდილობდა, ხელი შეეწყო ჯანსაღი ეროვნული ძალების კონსოლიდაციისათვის. მართალია, ყოველთვის როდი გამოგვდიოდა ეს, მაგრამ ღმერთია მოწმე, ჩვენ ცდა და მონდომება არ დაგვიკლია. რა გასახსენებელია, მაგრამ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ზევიდან „თითი“ არაერთგზის დაუჭნევიათ, იფიციოზი თითქმის არცერთ დიდ თავყრილობას არ ტოვებდა ჩვენი აუგად ხსენების გარეშე. რა იწვევდა მათ, რბილად რომ ვთქვათ, უკმაყოფილებას, თუ არა ჩვენი თანადგომა ეროვნული მოძრაობისადმი. ისინი არც ჩვენს ალტერნატიულ ფურცელს სწყალობდნენ, რომელიც რედაქციისთვის მეტწილად „მაშველი რგოლის“ ფუნქციას ასრულებდა.

ასე მოვედით 1990 წლის გაზაფხულამდე, როცა ჩვენმა გაზეთმა სახელი შეიცვალა. წინააღმდეგობრივი იყო ეს აქტი. იგი ოფიციოზმა, რა თქმა უნდა, თავისებურად მონათლა. არც მეტი, არც ნაკლები. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყრილობაზე რედაქციის მიერ დამოუკიდებლად გადადგმული ნაბიჯი შეფასდა, როგორც „ერის ღალატი“. ეს შეფასება სავსებით გაიზიარა, და ეს ბუნებრივიც იყო, საქართველოს პარტორგანიზაციის მაშინდელმა ლიდერმაც, რომელიც იმ ყრილობას ესწრებოდა. აქ საქმე მარტოდენ სახელის შეცვლაში როდი იყო. მათ უფრო ის აწუხებდათ, რომ ყოფილი „ახალგაზრდა კომუნისტი“, დამოუკიდებლად სახელის შეცვლასთან ერთად, გამოვდა კომკავშირული დაქვემდებარებიდან და ეს შესაძლოა ცუდი მაგალითი ყ ფილიყო სხვისთვისაც.

როგორც ხედავთ, „ერის მოღალატის“ იარლიყი ჩვენთვის არ ახალია, მაგრამ გაიჩხია, ვისგან, რა მიზეზით და რის საფუძველზე. ხახველს, დაინტერესებულ პიროვნებას შეუძლია.

სწორედ იმ პერიოდში, გაზეთის აქტიური პოზიციის გამო, რედაქციას ერთგვარი „მობოდიშებაც“ კი მოუხდა ყოფილ პარტიის ცეკასთან და რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან, როცა ე. წ. თურქი-მესხების შემოსევის საფრთხის რეალობაზე ამოიღო ხმა (სხვათა შორის, პუბლიკაცია მრგვალი მაგიდის წარმომადგენლებთან ერთად მომზადდა). ფაქტია, რომ სულ მცირე დროში გაზეთის პოზიცია, რომელიც სწორედ ეროვნული მოძრაობის პოზიციიდან გამომდინარეობდა, ამჯერადაც გამართლდა და პარტიულ ფუნქციონერებს გარკვეული ღონისძიებების გატარებაც მოუხდათ დათმობების გზით. დაინტერესებულ და სკეპტიკოს პირებს ამაში დარწმუნება არ გაუჭირდებათ თუ ნახავენ, 1990 წლის ივნისის თვის ნომრებს, ამასთან, იმ ახსნა-განმარტებით ბარათებს, რომელიც პარტიის ცკ-ს ბიუროს, მკითხველის მხარდაჭერამ გვიხსნა მაშინ. ჩვენ საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტსაც ვუმადლით ამას, რომელიც გვამხნევებდა და ვისი რჩევითაც მოხდა ეს აქტი. შესაფერისი შინაარსის გაზეთს სახელიც შესაფერისი უნდა ერქვასო, — იყო ბატონ ზვიად გამსახურდიას მაშინდელი მოსაზრება.

ეს ფაქტი, გაზეთისათვის სახელის გამოცვლა, დიდი მნიშვნელობის იყო ჩვენთვის, თუმცა ამ დროს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები მოხდა ჩვენს ცხოვრებაში.

შეიძლება ითქვას, ეს პერიოდი უაღრესად რთული და მნიშვნელოვანი პოლიტიკური კატაკლიზმებით აღსავსე იყო. საქმე ის არის, რომ 1990 წლის აპრილის მიწურულს (24 აპრილს) მომხდარი ინციდენტის შემდგომ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ორად გაიხლეჩა. ბლოკ — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალ საქართველოში“ გაერთიანებული პარტიები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფები გამიჯნენ ეროვნულ ფორუმს და სწორედ აქედან დაიწყო ეროვნული მოძრაობის განვითარება ორი მიმართულებით.

1990 წლის მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით, ვიდრე ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალები მოვიდოდნენ, „ახალგაზრდა ივერიელი“ შეუფერადებლად გადმოსცემდა პოლიტიკურ კოლიზიებს, ორივე მხარის შეხედულებებს.

გაზეთში სისტემატურად ეთმობოდა ადგილი ალტერნატიულ ფურცელს, რომელიც, როგორც ვთქვით, რედაქციის ინიციატივით დაარსდა და არა ვინმესგან თავს მოხვევით.

იმის გამო, რომ იმ პერიოდში უკიდურესად გამწვავდა დაპირისპირება მრგვალ მაგიდასა და ფორუმს შორის, ყოველთვის ვცდილობდით ადგილი დაგვეთმო მხოლოდ კოსტრუქციული მიმართულების წერილებისთვის, ეს ფაქტია, ამის შემოწმება ნებისმიერ მკითხველს, დაინტერესებულ პიროვნებას შეუძლია.

ივლისის თვეში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებშიც რედაქცია გვერდით ედგა ეროვნულ მოძრაობას. ჩვენმა გულშემატკივარმა მკითხველმა და თავად ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა, მათ შორის იმათაც, ვინც დღეს ხელისუფლების სათავეშია, კარგად იციან, თუ როგორი დაძაბული პერიოდი იყო გაზეთისთვის 1990 წლის 19 ივლისიდან 2 აგვისტომდე, როცა გაზეთი „დაპატიმრებული“ იყო. მიზეზი ყველას კარგად ახსოვს. მიგვაჩნია და ახლაც იმ პოზიციაზე ვართ, რომ არ შეიძლება, ადამიანი დაადანაშაულო დაუსაბუთებლად. ჩვენ მაშინ დავიცავით ეროვნული მოძრაობის ლიდერი, დავიცავით ობიექტური, თავისუფალი პრესის პრინციპები.

საკითხავია, იქნებ მაშინ ვიყავით კომკავშირელები და შხამს მაშინ ვანთხევდით?

შემდეგ იყო სექტემბერ-ოქტომბრის მეტად დაძაბული და საინტერესო დრო. გაზეთი ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვებოდა ეროვნულ მოძრაობას, ქვეყნდებოდა მასალები როგორც კონგრესის, ისე უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნების შესახებ. დაინტერესებულ მკითხველს, ალბათ, ახსოვს ისიც, რომ მაშინ ორივე მხარე შეთანხმდა, რომ ერთმანეთს ხელს არ შეუშლიდნენ არჩევნების ჩატარებაში. გაზეთიც შეძლებისდაგვარად იცავდა ამ პრინციპს.

უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნების წინა პერიოდი განსაკუთრებითაა გამოსარჩევი. ჩვენი გაზეთის უბრალო გადაფურცვლაც კი საკმარისია იმის დასანახად, თუ რა პოზიცია ეკავა გაზეთს, ვის მხარეს იდგა, თუ როგორ ებრძოდა ეროვნული ძალების მოწინააღმდეგეთ.

საკითხავია, იქნებ მაშინ ვიყავით კომკავშირელები?

გადავხედოთ სხვა პერიოდს.

საქმე ეხება 1990 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდგომ განვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილ დროს. არ გვჯერა, რომ არის ვინმე, ვისაც ენა მოუბრუნდება და იტყვის, რომ „ახალგაზრდა ივერიელი“ გვერდში არ ედგა ეროვნულ მოძრაობას, ეროვნულ მთავრობას? სკეპტიკოსებს და **განსაკუთრებით იმათ**, ვინც რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომელიც, ცხადია, ყოველთვის ვერ იცლის, რომ გულდასმით გაეცნოს პრესას, აწვდის ცალმხრივ, ტენდენციურ, გაუანალიზებელ ინფორმაციას, ვისაც მეტად თავისებურად ესმის გაზეთის უპირველესი დანიშნულება — იყოს თანამედროვეობის მემატიანე, ვთხოვთ, მეტი უურადღებით წაიკითხონ პრესის კანონი, საერთოდაც, გაზეთები და მერედა იკისრონ ჩვეული ფუნქცია.

ჩვენ ვთვლით, რომ უშეცდომო არავინაა, მაგრამ ისიც ვიცით, რომ გამოცდილება შეცდომების შემდეგ მოდის. რატომ ჰგონიათ მავანთ, რომ ერთადერთი ჭეშმარიტება, განურჩევლად მისაღები და შესასრულებელი, მხოლოდ ისაა, რომელიც ოფიციოზიდან მოდის. ეს ხომ სწორედ ის მიდგომაა, ის დამოკიდებულებაა, რითაც ყოფილი პარტოკრატები და პარტფუნქციონერები გვამახსოვრებდნენ თავს.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ „ახალგაზრდა ივერიელი“ სრულყოფილად ასახავდა „ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენას“ ამ ბოლო პერიოდში. მეტიც, გარკვეულ ნაწილ მავანნი ცალმხრივობასაც კი გვწამებდნენ. არა, ბატონებო, ჩვენს გაზეთში ყოველთვის იყო, არის და იქნება (ცხადია, ვიდრე იარსებებს ის) მოვლენის, ფაქტის სრულად, ყოველმხრივ წარმოჩენის ცდა, ორივე მხარის მოსმენის სურვილი, კორექტულობისა და ფანატიზმის ურთიერთგარჩევის უნარი.

ჩვენი პუბლიკაციების კითხვისას მკითხველს არცთუ იშვიათად ასეთი აზრებიც ებადება (ეს წერილებიდან ჩანს), რომ არც ოფიციოზი და არც ოპოზიცია არაა ერთმანეთთან აბსოლუტურად მართალი. აქედან გამომდინარე კი, ხალხთან ორივე ტყუის. არადა, მართლაც დაიღალა ქართველობა, ერთ სულ და ერთ ხორც შეკავშირება სურს მას, რათა დიდ მიზანთან მართალი გზით მივიდეს.

ჩვენ?

ჩვენ კი მართლა ვერ გაგვიგია (დასაბუთებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია), რატომ, რის გამო გვაკერებენ დაუმსახურებელ იარლიყს. კომუნისტების მხრიდან ეს გასაგები იყო, მაგრამ დღეს?..

დღეს ჩვენი გაზეთი იქ დგას, სადაც ერის ყოველდღიური აზრის „მიდენ-მოდენა“ ჩანს, სადაც ტკივილია, სადაც ეროვნული მოძრაობაა. ჩვენ არც არასდროს ვყოფილვართ და არც ვიქნებით ვინმეს მეხოტბე, ვინც არ უნდა იყოს იგი. ჩვენ ვიცავდით და დავიცავთ (შესაძლო დახურვამდე მაინც) თავისუფალი პრესის პრინციპებს. და არამც და არამც არ ვიგუებთ დიქტატს, ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ. არც ისე გულუბრყვილონი ვართ, დავიჯერო, რომ ამ გზაზე შეცდომები არ იქნება, მაგრამ გვეყოს კაცობა, გამბედაობა, ვთქვათ სამართლე, ხალხიც ვაზიაროთ მას და მერე თავად ის განსჯის ყველაფერს, ისტორია ყველაფერს თავისას მიუზღავს.

●

გახსოვთ „დიდოსტატის მარჯვენაში“ მეფე გიორგის მონოლოგი:

„სიყრმე და სიჭაბუკე საქართველოს შევალიე, მაგრამ ქართველები „აფხაზს“ მეძახდნენ, ხოლო აფხაზები „ქართველების მსტოვარს“ მიწოდებდნენ ბაგრატოვანს, ლაზს...“

ჩვენი სათქმელიც ესაა, იმედია, გამგები გაიგებს.

დაბოლოს, თავად განსაჯეთ, ჩვენი ამ მცირე, არასრული მონოლოგის შემდეგ ღირს ჩვენი გაზეთისთვის თანადგომის, დახმარების გამოხატვა და 1992 წლისათვის „ახალგაზრდა ივერიელის“ გამოწერა?!

სხვა მხრივ, ღმერთმა ყველას მშვიდობა მისცეს; სიყვარული და სათნოება, ურთიერთგაგება და დანდობა გვისურვებია.

სიყვარულით
„ახალგაზრდა ივერიელები“.

მკითხველს უმორჩილესად ვთხოვთ, გამოგზავნილ ამ პუბლიკაციას.

„ვინც ჩვენთან არ არის...“

დამასწრო ბატონმა დავით მუედლურმა („ლს“, 25. 10.91). დამასწრო, მაგრამ მიხარია, რომ მისი სახით კიდევ ერთი თანამოაზრე აღმოვაჩინე.

ისინი კი, ჩვენი თანამოაზრენი, მადლობა ღმერთს, არცთუ ისე ცოტანი არიან.

ახლა ხშირად ამბობენ, რომ ქართველი ერი ორადაა გახლეჩილი:

ერთ მხარეს პოზიციაა, მეორე მხარეს — ოპოზიცია. თუ ახლანდელი ხელისუფლების მხარეს დგახარ, „პოზიციონერი“ ხარ, თუ საპირისპირო მხარეს — „ოპოზიციონერი“.

ჩემთვისაც უკითხავთ, ვის ემხრობიო, და როცა მითქვამს, არცერთ მხარეს არ ვდგავარ, შერიგების, კომპრომისის მომხრე ვარ-მეთქი, უპოზიციო ყოფილხარო, მოუხლიათ.

ჩემს ერთ-ერთ ამასწინანდელ წერილში ისტორიული ფაქტები მოვიშველიე, თანაც უხვად. მისაყვედურეს, რა დროს ისტორიაო. მაინც ისტორიას მივმართავ:

ტატბუ ახალასულ მეფე თამარს უუთლუ-არსლანის დასი დაუპირისპირდა და „კარვის“ დაარსება მოითხოვა. „კარავი“ საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა ყოფილიყო (დღევანდელი პარლამენტის მსგავსი — არადა, XII საუკუნეა), მეფის ხელისუფლებას კი „კარვის“ მიერ მიღებული კანონები უნდა აღესრულებინა.

მეფემ თავისი ჯერ კიდევ შეუვალი უფლება გამოიყენა და უუთლუ-არსლანი დააპატიმრა.

მაგრამ შეამბოხე მარტო არ იყო და მისმა მომხრეებმა ხმალი იშიშვლეს. ცოტაც და, ძმათა სისხლი დაიღვრებოდა.

და მაშინ ორი ქართველი მანდილოსანი—ხვაშაქი ცოქალი და კარავი ჯაყელი ჩადგნენ დაპირისპირებულთა შორის, ჩადგნენ და უსისხლოდ მოაგვარეს კიდეც საქმე.

მადლობა უფალს, მოწინააღმდეგეებსაც ეყოთ ჭკუა საიმისოდ, რომ ცოტ-ცოტა დაეთმოთ ერთმანეთისათვის.

აქეთ — თამარის პოზიცია, იქით — უუთლუ-არსლანის ოპოზიცია. შუაში — ორი ქართველი მანდილოსანი, რომელთათვისაც მთავარია ის, რომ მოწინააღმდეგე მხარეებმა საერთო ენა გამონახონ და ძმათა სისხლი არ დაიღვაროს.

განა ეს უპოზიციობაა? თუ —ყველაზე გონი[illegible]

ბაზალეთის ძმათამკვლელი ომის წინ ვინმე ისე [illegible]ერი და ღვთისნიერი რომ გამოჩენილიყო, როგორიც ის სულკურთხეული ორი მანდილოსანი იყო და, ამავე დროს, თეიმურაზისა და საკაძის ბანაკებს მათი რჩევა ყურად ეღოთ, ათასობით ქართველი ათასობით ქართველს არ შეაწყდებოდა და, ვინ იცის, იქნებ წალმა დატრიალებულიყო საქართველოს ბედის ჩარხი.

მაგრამ ბაზალეთში მხოლოდ პოზიცია და ოპოზიცია იდგნენ პირისპირ. მათი შერიგება არავის უცდია და ამიტომაც მოხდა ის, რომ ბაზალეთის ომში თეიმურაზი ან საკაძე კი არა, მთლიანად საქართველო დამარცხდა. ვინმე „უპოზიციო“ რომ გამოჩენილიყო და „მტრები“ შეერიგებინა, განა ყველაზე გამართლებული პოზიცია ეს არ იქნებოდა?

არა, ქართველებო, ჩემო სისხლისმიერო და ხორცისმიერო ძმანო და დანო, მოდით და, ნურც ბატონ დავით მუედლურს, ნურც მე — ერთ ლიტერატორთაგანს, ნურც ათასობით ჩვენისთანას „უპოზიციოს“ ნუ უწოდებთ, ჩვენ კომპრომისის, კონსენსუსის, შერიგების **მტკიცე პოზიციაზე** ვდგავართ, რადგან გვწამს, რომ ბატონი დავითისა არ იყოს, „დგება ჟამი, როცა რადიკალიზმი ზომიერებით, მემარცხენეობა ცენტრიზმით, მემარჯვენეობა ლიბერალიზმით უნდა შეიცვალოს.“

ალბათ გახსოვთ ყველაზე დიდი ბოლშევიკის მიერ მასებში გადმოსროლილი ლოზუნგი (თუ მუქარა?) — „ვინც ჩვენთან არ არის, იგი ჩვენი მტერია!“ ისიც გეხსომებათ (ან წაიკითხავდით), რა საშინელებები მოჰყვა ამ ავბედით ლოზუნგს.

ჰოდა, გახსოვდეთ, რომ ჩვენ, ეგრეთ წოდებული „უპოზიციონი“, არავის მტრები არა ვართ. პირიქით, პოზიციაც გულწრფელად გვიყვარს და ოპოზიციაც, და სწორედ ამიტომ ვდგავართ შერიგებისა და თანხმობის მტკიცე პოზიციაზე!

ნუგზარ აფხაზავა

თინათინ მღვდლიაშვილი

ფრთხილად, ლომებო, საქართველოს გული გასკდება!..

სადღაც ისვრიან!..
შეეშალნენ ჩემი ბოკვრები...
თითქოს სიზმრებში დაეკარგათ მტერი ვერაგი,
თითქოს ნისლებში ჩაეკარგათ თეთრი გელათი,
ჯანსაღ სხეულზე შემოისხეს ჯაჭვის პერანგი
და საოცარი დაჟინებით ხოცავენ ერთურთს!..
და ვინც დაიჭრა,
ან სულს ღაფავს,
ანდა უკვე გარდაიცვალა
და საქართველოს ფერად ზეცას
შეაცივა მუქი თვალები,
ვიცი, უფალო!
ჩემი ჯიშის იქნება ის და
მკვლელიც ჩემი ჯიშის იქნება, ვიცი!..
ისევ ისვრიან!
იქნებ ახლაც ვინმე დაიჭრა...
იქნებ ჩემი და,
ან ნაცნობი,
ან მეგობარი,
ან იქნებ ჩემს ქმარს დაეწია ტყვია წყეული
და მომძის ხელით მოიცელა ნაცნობ ქუჩაზე!..
ვაი, მამულო!
შეეშალნენ შენი ბოკვრები!..
მართლაც სიზმრებში დაეკარგათ მტერი ვერაგი,
მართლაც ნისლებში ჩაეკარგათ თეთრი გელათი,
ჯანსაღ სხეულზე შემოისხეს ჯაჭვის პერანგი
და საოცარი დაჟინებით ცელავენ ერთურთს!
და სისხლიანი გათენდება თბილისში დილა,
შეაბარბაცებს საქართველოს ქარი ვერანი,
ლურჯი ყორანი ჩამოგვძახებს მეწამულ ციდან
და საქართველოს დავიტირებთ ნაქართველარნი! —
რადგანაც სისხლი მოგვეწამლა ძარღვებში თითქოს,
რადგანაც ყველა სათავისოდ ომობს და ფიქრობს,
რადგანაც გულში ქართველობა გარდაგვეცვალა
და მიიცვალა ჟამი ჩვენი აღმავლობისა!
და ჩვენ ცალ-ცალკე მოვიძიებთ მტყუანს და მართალს,
და ჩვენ ცალ-ცალკე დავიტირებთ გიორგის, ლაშას...
და ჩვენ ცალ-ცალკე დავაფარებთ მოკლულებს
კალთას, —
დავახარისხებთ „ჩვენად“ და „სხვისად“
და ღვთიურ პურსაც გავტეხთ ცალ-ცალკე!
და ჩვენ ცალ-ცალკე ავიკიდებთ ღვინოს და საგზალს,
და ჩვენ ცალ-ცალკე დავუჩოქებთ სამთავისს, სხალთას,
და ჩვენ ცალ-ცალკე ავუყვებით მთაწმინდის
აღმართს, —
ტანჯულ ქართველებს საფლავებში ამოვაბრუნებთ
და საქართველოს სადღეგრძელოს შევსვამთ
ცალ-ცალკე!

არა, ბოკვრებო!
მტერი ასე როდი მარცხდება
და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტით
ვით ვიხსნით მამულს!
ფრთხილად, ლომებო!
საქართველოს გული გასკდება
და ვეღარასდროს ვერ ვიმღერებთ
„ლილეოს“, „ურმულს“!
ასე, ბიჭებო,
მუხა მუმლით დაგვიმარცხდება
და ჩვენი ცოდვით აწივლდება
არწივი უშგულს!

. . .

ისევ ისვრიან!
შეეშალნენ ჩემი ბოკვრები...
თითქოს სიზმრებში დაეკარგათ მტერი ვერაგი,
თითქოს ნისლებში ჩაეკარგათ თეთრი გელათი,
ჯანსაღ სხეულში შემოისხეს ჯაჭვის პერანგი
და საოცარი დაჟინებით ხოცავენ ერთურთს!..

1991 წ. ღვინობისთვის 10.

●

გათენებისას

ენკენისთვეა.
გათელილი გმინავს თბილისი...
და ერთგულებას უმიდოდ დანატრებული
ჭადრის ფოთლების სიმსუბუქეს ფანტავს სივრცეში...
და ფიფქებივით ფარფატებენ მკრთალი სიზმრები,
და ბაზალეთის სუსხიანი უბერავს ქარი,
და წითელ ურჩხულს ეცინება გულის სიღრმეში —
აცრემლებული გვირილების ახარებს ზარი
და წითელ ენას ასავსავებს სიამოვნებითი...
და რუსთაველზე გალახული გდია სიმართლე,
ქაშუეთის ტაძარს დასდებია ღალატის ფერი...
გათენებისას ოცდაათ ვერცხლს ააჩხრიალებს
ერი, რომელმაც სულხან-საბა ათრია წვერით.
და წამოშლილა მტერ-მოყვარე საკლავ-საჯიჯგნად,
და ჩამოშლილა სათნოების, სიკეთის კარი,
და აღმართულა საქართველოს ბებერ მიწაზე
ქართველის ხელით ალესილი კაენის ხმალი!
ღალატისთვეა! გათელილი გმინავს თბილისი,
ქაშუეთის ტაძარს დასდებია მწუხარე ფერი...
და ჭადრის ფოთლის სიმსუბუქეს ფანტავს სივრცეში
საბაზალეთოდ განწირული რჩეული ერი!..

1991 წ. 28 ენკენისთვე.

●

წუხელ

თბილისში
ძმათა შორის შეტაკებისას
დაიჭრა ნაძვი...
და სასიკვდილო განაჩენით
განცვიფრებული
ლურჯი სხეულით ჩაიკეცა
მშობელ მიწაზე...

წერილი რედაქციას

რაც მეტია აკრძალვა:
მით მეტია სიღარიბე.
რაც მეტია ბარადი:
მით მეტია ამბობი...
რაც მეტია კანონი და ბრძანება: მით მეტია ქურდი და ავაზაკი.

დაო დე ძინი
ლაო-ძი

მოკლედ იმ მოსაზრებათა შესახებ, რომელთაც ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინეს:

1. არ შეიძლება, მკრეხელობაა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ქალების ხაროში (ციხე-კოლონიებში) ჩაყრა.

2. თავისუფლების აღკვეთის ამ ფორმებს უბედურების მეტი არაფერი მოაქვთ როგორც დამნაშავეთათვის, ისე საზოგადოებისათვის. ისინი უნდა შეიცვალონ, დაუნდა შეიცვალონ, შესაძლოა, შემდეგი გზებით:

ა. საკუთარ სახლში პატიმრობით (კონტროლი ტექნიკური საშუალებების გამოყენებითაც შეიძლება განხორციელდეს).

ბ. დასასჯელი პირის შეცვლით. სასჯელის თავის თავზე აღებინება უნდა დაერთოს დამნაშავე ქალის ვაჟს, ძმას, მეუღლეს, მამას.

თუ დასჯა აუცილებელია, თავისუფლებაზე დატოვებული ქალისათვის ამგვარი სახით მიღებული მორალური სასჯელი, მერწმუნეთ, არანაკლებ მტკივნეული იქნება.

გარდა ამისა, მამაკაცთა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შემცვლელთა გარშემო შეიქმნება სწორედ ის წმინდა ატმოსფერო, რომელიც აქაც ასე გვაკლია, არამცთუ იქ.

ვუწოდოთ ამ გზას ცოტნეიზმი.

ბოლო წინადადება ცენტრში, შესაძლოა, აბსურდულად ჩათვალონ, მაგრამ საქართველოში უნდა გავიგოთ, რომ ქართული სულის აღორძინება აქედანაც უნდა დავიწყოთ.

გელა ღვინეფაძე

სამშენებლო-სამონტაჟო სპეციალიზებული მცირე საწარმო „ვექტორი“ ასრულებს შემდეგი სახის სამუშაოებს, როგორც კერძო პირთა ისე წარმოება-დაწესებულებებისათვის, როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით:

1. წყალგაყონვის სალიკვიდაციო სამუშაოები (აუზის მინიმალური ფართობი 150 კვადრატული მეტრი, ტორკრეტული მეთოდით).
2. ფუნდამენტდაზიანებული შენობა-ნაგებობის გამაგრებას ბურღვა-ცემენტაციის მეთოდით.
3. წყალსაცავებისა და აუზების საცემენტაციო სამუშაოებს, წყლის ჟონვისა და გამაგრების მიზნით.
4. რკინა-ბეტონის ბურღვას ალმაზური მეთოდით.
5. ხიდების მშენებლობას.
6. ბურჯების ჩასობას დარტყმის მეთოდით.
7. ყველა სახის ბურღვით სამუშაოებს.

შეკვეთას ვღებულობთ 1991-1992 წლისათვის.

მისამართი: ქ. ჯვარი, წერეთლის ქ. № 10, მცირე საწარმო „ვექტორი“, ტელ: 3-12-98. ქ. ზუგდიდი. ტელ: 2-50-30.

როდის უკრავს მუსიკოსი







ეს ფოტოები ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ზურაბ ქავთარაძემ წინა საოჯახიერი რეპორტიაჟიდან გადაიღო.

27 ოქტომბერს, ვეფან ხალამის, რვა წლის განშორების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოვიდა ცნობილი ქართველი პიანისტი ლეშო თორაძე. აეროპორტში მას ამაღელვებელი შეხვედრა მოუწყვეს ახლობლებმა, მეგობრებმა, მისი ხელოვნების თაყვანისმცემლებმა. მათ შორის ოფიციალურ პირები არ ყოფილან. ლეშო თორაძე თბილისში ჩამოვიდა კერძო ვიზიტით — მისი უბარელები სურვილია მშობლიური ქალაქის, მონატრებული ადამიანების მონახვეთები, შეხვედრა საყვარელ მსმენელთან. გარდა ამისა, ლეშო თორაძე — როგორც ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორი — აპირებს რამდენიმე ქართველი პიანისტის საბჭოვლებლად მიწვევას საუთარ კლასში. ამ ვიზიტის კიდევ ერთი და, ვფიქრობ, უმთავრესი მიზანი კი, ლეშოს ჩამოსვლის პირველი წუთებიდანვე ნათელი გახდა: ორშაბათ დღეს, ვეფან ხალამი, მან მამის სიფლავს მიაკითხა და პატივი მიაგო მის ნათელ ხსოვნას. ამავე დღეებში, კომპოზიტორთა კავშირში გამართულ შეხვედრაზე, დასასრულ რამდენიმე კონკრეტული წინადადება დაკეთ თორაძის სიფიცილო ● სალამოსთან შეხვედრა, რომელიც აპირებენ გაიმართვა. 30 ოქტომბერს სასტუმრო „შეტეხი-პალასის" ქალთა კლუბმა მოაწყო შეხვედრა-ვიქტორინა ლეშო თორაძის სასტატვიცენერად. სალამოს შემოსავალი გადაირიცხა ნაციონალურ ალდგენის ფონდში. ჩვენი თხოვნით ბატონ ლეშო თორაძეს შეხვედ და ესაუბრა მუსიკოსმეცნიერ, ქალბატონი მაია დადუნაშვილი.

უმიერანტი

— რა მოგცეთ ამერიკულმა რვა წელეწადმა?

— მე ეფექტურმ, ფიფიელლილერი ცხოვრებისეულ ცა ჩამოხვის გადაფარის უსაონი. ჩვენი ეროვნული ცხოვრების უდიდესი შემშფოფელი ელემენტი იყო ის, რომ ჩვენ გადაწყვეტილების მიღების არე უფლება გვქონდა, არე საშუალება და თითქოს გადაწყვეტილ ითიერები იყო. შესაძლებელი, ეს მხოლოდ ჩემი სენი იყო იმიტომ, რამდენადაც ჩემი ფასსაშლელი მშობლებისა და ბეფფიფლების მიერ შექმნილ ერთგვარ ატმოსფეროებიდან, ფიფიელ, მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს მარტო ჩემი პრობლემა არ უნდა ყოფილიყო. იქიდან ცხოვრებაში, გასხალეფრებით მაშინ, როდესაც მარტო ხარ და შენი ახლოებელი ითვალ არის, როდესაც ყველაზე დიდი მეგობარი მზოლოდ რვა წლის ბაკანშიალია (ჩვენ კი მეგობრობას სხვა ფრთა ვეფიმოდი და სხვა ერიტერიუმებით ვფიფიდ ეს ყველა ადამიანებლა ზეგ ზეგ ფუნა ითიერ, ზოსაპამოსა საკუთარ შეეფლიაზეფე თვითონ ავეკ ამსოეს. მაგრამ ბიეფიერება ამაშია, რომ თუ შეეფლოს თავი ადაღეფ — სწორი გადაწყვეტილების შეეფეგიე მალილადფ შეზნა. ამ თავლოსაზრისით, ორივე ეხარე ერთნაირად მნიშვნელოვანია ამერიკაში მეცხოვრები ადამიანისათვის. ყოველი შეკეფლის ცხოვრების ნაწილია, ისეთივე, როგორც ფისხარსი ბახის ფუგაში, რომელიც ორანირად არ ჩაშოეკიფრდება ნეიბისმიერ კოხსონანსს თავისი მნიშვნელობით.

— ლეშო, თქვენს ცხოვრებაში იყო პერიოდი, როდესაც, თქვენივე ხიტყვებით რომ ვთქვათ, ყველასგან მოშორებული, ზოგიერ ქვეკანაში ბარტი ფარნით და ერთადერთი ხავერდ, რაც თქვენს ყვარდი იყო — იყო ინსტრუმენტი. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ბუსოკა უდიდეს საშუალებას აძლევს ადამიანს თვითგამოხატვისათვის, მაგრამ, ალბათ, სწორედ ასეთ დროს შეიძლება ფიფიერდ ინსტ, რაზეც ადრე არ ვფიფერია. ამ თვალსაზრისით, მე მაინ-ტერესებს, განიცადა თუ არა ანა ფარნარაშვილი თქვენს შემოქმედებაზე? ანა ფარნარაშვილი?

— დიახ, ერთ შეეფნიერ ღიეს ოროალი გაგზა სწორედ ის საგანი, რომელიც ჩემთან იყო მაშინ, როდესაც მე მოშორებული ვიყავი ეანლიეს ადამიანებს, ქალაქებს ფა, საერთოდ, ყველაფერს. ოროალი, ამ შემთხვევაში, არის ბუსოკის გაგრძელება და ანალე ერთის ზარანტაბაც ოროალი. რა თქმა უნდა, უამრავი ნაწარმოებია შექმნილი სწორედ ინტერმ, რომ ანსერბოს ოროალი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მუსიკოსი და ინსტრუმენტი ერთ ერთიერთგანმსაზღვრელი ფენომენია და ორივე ერთანირად სჭირდება ერთიერთს. ანალოგიაზე, მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ ფრთის ლეფიეკი მალილად ამ ინსტრუმენტის გამოსაზღვრელი შესაძლებლობები, რომელთა სრული ათვისებაა, ეფიქრობ, ჯერ კიდევ არ მოხდარა.

მუსიკოსი

— ადამიანის მეხსიერებაში ყოველი დიდი შემოქმედი მისი ინდივიდუალურობის დამახასიათებელი „ყველაზე ამკარა და შოამხეველი ნიშნით შემოდის. ლეშო თორაძე ჩემთვის ყოველთვის იყო „piano". სწორედ ამ ნიუანსის შერეულებისას მეგრეფრიდან ეე იგი ყველაზე მეტად შოაგონებული, ეფიციური, ხეფფალი და... ადამიანი. ახლა მახსოვს რვა წლის წინათ, ისეთივე ეანაე რვა წლის შემდეგ: მოაგონებული მუსიკის გამეფნილი ხავერდოვანი, ეფიციური ბასი ახლოხებისა და მეგობრების შეხვედრისას, ალბათ ეანილი ნათელი ხალეი ბასი უსაკვირველი ამბის ხსოვნაა და... ბედნიერია ეკ. სადაც ყოველთვის ყველაზე ბედნიერია — თავისი ეფრთგიფული მსმენელით ხავხე საკონცერტო დარბაზში.

— ჩემთვის მსმენელი დიდი მამოძრავებელი ძალა და სტიმული



მე ვიძახები მაშინ, როდესაც ვიცი, რომ მსმენელი მელოდება, ვეფალოს, კიდევ ეფრი ეფლოს. ბედნიერია და მიეტანინი ეი მსმენელს. ბედიერხოდი თუ არა მე ეტეროს მხოლოდ ინიტმ, რომ მე მოსხეტრეფეს ოეი მსმენელის ბარეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია, განცხადება, რეკლამა

გამოიწერეთ ჟურნალი „დროშა“.

ყველა ქვეყანას თავისი დროშა აქვს, თავისი დროშა აქვს საქართველოსაც — დროშა სამფეროვანი...

ჟურნალი „დროშა“ უნდა გახდეს დირსი, რაინდულად ატაროს საქართველოს რესპუბლიკის სამფეროვანი დროშის სახელი!

ამ ერაზსაც ვეგობრე ბ ო! თქვენ აუცილებლად უნდა გამოიწერით ჟურნალი „დროშა“!

თუ გინდათ გაიგოთ ამქვეყნიური სიმართლე, გამოიწერეთ ჟურნალი „დროშა“!

●

იტალიელი დონორები თბილისში

თბილისს ჩრდილო იტალიის, კერძოდ ქ. ბორგოსეზიეს დონორთა ასოციაციის წევრები ეწვივნენ. მათ უმასპინძლა საქართველოს ჰემოფილიისა და დონორების ასოციაციამ. იტალიელები ტურისტული მარშრუტით ჩამოვიდნენ. მათ უნდა მოენახულებინათ რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და საქართველოს 9 ქალაქი, თითოეულში ერთი დღეღამე უნდა დარჩენილიყვნენ, მაგრამ ჩვენმა მეგობრებმა მარშრუტიდან ამოიღეს 4 ქალაქი, რათა საქართველოში 5 დღე გეტარებინათ. იტალიელ დონორებს ასოციაციის წევრებთან ერთად უმასპინძლა ქალბატონმა რუსუდან მაკავარიანმა, რომელსაც 20 წელზე მეტი ხნის მეგობრობა აკავშირებს მათთან და ამ ქალბატონის წყალობით მოახდა ქართველი და იტალიელი დონორების დაახლოებაც.

სტუმრებს შეხვედრა მოუწყო საქართველოს რესპუბლიკური სისხლის გადასხმის სადგურის კოლექტივმაც, ახლი იქ გაეცნენ ქართველ დონორებს. დაინახა თანამშრომლობის სამომავლო გეგმები. გამოითქვა აზრი, რომ იტალიელ და ქართველ დონორთა ურთიერთობა წარიმართოს უპირატესად საოჯახო ტურიზმის განვითარების გზით.

სტუმრებმა გულისტკივილი გამოთქვეს იმის გამო, რომ საქართველოში დონორთა რიცხვი ყოველწლიურად კატასტროფულად მცირდება. იტალიაში კი დონორობა სათაკილო ქმედებად როდია. იქ დიდი თუ პატარა, ნებისმიერი საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენელი ხალისით იღებს სისხლს ქვეყნისათვის.

სამშობლოში გამგზავრების წინ იტალიელებმა ქართველ ხალხს უსურვეს შერიგება, თავისუფლება.

წავიდნენ იტალიელები და მეორე დღეს მოხდა შეტაკება თბილისის ზღვაზე, იქ ახალგაზრდები დაიჭრნენ.... ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოწ..ადებაზე სისხლის გადასხმის რესპუბლიკურ სადგურში იმავ დღეს მოვიდა 800-ზე მეტი ადამიანი და სისხლი გაიღო შეჭირვებულთა დასახმარებლად. მომდევნო დღეს კი კვლავინდებურად ჩაკვდა სიცოცხლე სადგურში.

ქართველო ხალხო და საქართველოში მცხოვრებო ყველა ერის წარმომადგენელნო, საქართველოს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაცია, საქ. სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგური, სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო უღრმეს მადლობას მოახსენებს იმათ, ვინც მძიმე დღეებში მხარში გვიდგას, მაგრამ რა დაგაშავეს იმ ადამიანებმა, ვისაც დღეს სჭირდება, ან ხვალ დასჭირდება სისხლი ავადმყოფთა (თუნდაც დაჭრილთა) გადასარჩენად. საჭიროა სისხლისა და მისგან დამზადებული პრეპარატების წინასწარ ქონა, რათა დროზე შევაშველოთ ხელი. ხომ არ შეიძლება სნეულს ჯერ ოპერაცია გავუკეთოთ და შემდგომ ნარკოზი.

ვიფიქროთ ამაზე!..

საქართველოს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაციის პრესცენტრი.

●

განცხადება

სპორტის ოსტატმა **ზურაბ ნოდარის ძე ყოფუაშვილმა** 1976-78 წლებში საბჭოთა არმიაში სამსახურის დროს ქ. ჩელიაბინსკ-65-ში მიიღო რადიაციული დასხივება. 12 წლის განმავლობაში ავადმყოფის მკურნალობა საბჭოთა კავშირის წამყვან კლინიკებში უშედეგო აღმოჩნდა. მისი დაავადების ზუსტი დიაგნოსტიკა ითავა გერმანიის სადიაგნოსტიკო ცენტრმა ქ. ვისბადენში.

ავადმყოფს გერმანიაში გასაგზავნად ესაჭიროება ფინანსური დახმარება, როგორც საბჭოთა მანეთებში ასევე უცხოურ ვალუტაში. მის სახელზე გახსნილია საბკომმრეწვმშენბანკში ანგარიში № 000 700 828 ჯორჯიაშვილის ქ. № 14.

გთხოვთ გაუწიოთ დახმარება ჩვენს თანამემამულეს.

გაიღეთ მოწყალება და უფალი შეგეწევათ!

სათნოების სახლი (ასოციაცია „ქათარზისი“)

●

საქართველოს სახალხო პარტიის მთავარი კომიტეტის განცხადება

საქართველოს სახალხო პარტიის (სსპ) მთავარი კომიტეტი იუწყება, რომ სსპ V კონფერენცია გაიმართება 1991 წლის 8 ნოემბერს ქ. თბილისში საქართველოს თეატრის მოოვაწეთა კავშირის საქტო დარბაზში (ლენინის 11-ა, ყოფილი კიროვის ქუჩა).

კონფერენციის დასაწყისი 11 საათზე.

დელეგატთა და სტუმართა რეგისტრაცია იწარმოებს 10 საათიდან.

●

განცხადება

1991 წლის 7 ნოემბერს 17.00 საათზე თბილისში, კინოს სახლის დიდ დარბაზში კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია ატარებს კონფერენციას.

პარტიის წევრები და მხარდამჭერნი ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მონაწილეთა დასწრება.

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი

●

გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული, საზოგადოებრივი ჟურნალი „პანორამა“, რომლის დამფუძნებელი და გამომცემელია კოოპერატივი „ფსიქოლოგიური სამსახური“. სამწუხაროდ, ჯერჯერობით სხვა ცნობებს ვერ მოგაწვდიდ, რადგანაც რედაქცია ჯერჯერობით უბინაოდაა და წერილებს იღებს მისამართზე: თბილისი-4, საბაბინტი ყუთი № 119.

კიდევ რედაქციამ გვთხოვა გაცნობოთ, რომ პირველ ნომერში დაშვებულია რამდენიმე დასანანი შეცდომა, რომელთა გასწორებასაც ახლა გთავაზობთ:

გიორგი ანთაძის სტატიაში „საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა“ (1886-1989 წ. წ.) ტექნიკური მიზეზების გამო დაშვებულია შემდეგი შეცდომები: მე-8 გვერდზე მოთავსებული ცხრილის მე-8 სვეტი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად უკრაინელები — 52,2, ჭეჩენები — 16,2; ებრაელები — 51,6. ხოლო რაც შეეხება გერმანელებს, ახლინ 1989 წლის შემდეგ საქართველოში აღარ ცხოვრობენ.

მე-9 გვერდზე მოთავსებული გრაფიკი №1 უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: 1 უნდა აღინიშნებოდეს არაქართველები, 2 — მთელი მოსახლეობა, 3 — ქართველები.

დაბოლოს, ჟურნალის რედაქცია გამოიქვეყნებს რეკლამებსა და განცხადებებს, აგრეთვე შეგიძლიათ შეუკვეთოთ მხატვრული გაფორმების სამუშაოები.

●

განცხადება

ამა წლის 9 ნოემბერს დღის 12 საათზე (ბუდაპეშტის ქ. № 1) შედგება სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის მთავარი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. **აბაშის, ადიგენის, ახალციხის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თიანეთის, თეთრიწყაროს, თერჯოლის, მარტვილის, მარნეულის, მცხეთის, ხაგარეჯოს, ხიდისთავის, ხაჩხერის, ხარაგაულის, ხობის, ცაგერის, ხაშურის, ცხინვალის, დედოფლისწყაროს, ზნაურის, ჩოხატაურის, ყვარლის, ახალქალაქის, მესტიის, დმანისის, გალის, ამბროლაურის, ონის, წალენჯიხის, ახმეტის, კასპის, ნინოწმინდის რაიონებისა და ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, ბორჯომის, ბათუმის, ზუგდიდის, თელავის, გორის, ხაშურის, წყალტუბოს, ტყიბულის, ფოთისა და ჭიათურის** საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეების, მთავარი საკოორდინაციო საბჭოს წევრებისა და წარმომადგენლების დასწრება სავალდებულოა. მათ თან უნდა წარმოადგინონ პირველადი ორგანიზაციებისა და კავშირის წევრთა დაზუსტებული სიები.

სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის მთავარი საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობა.

●

შეხვედრა წარსულთან

1991 წლის 24 აგვისტოს მოწვეულ იქნა საქართველოს „დამოუკიდებელი“ პროფკავშირების ყრილობა, რომელიც ჩატარდა აშკარად არადემოკრატიულ ვითარებაში, ტოტალიტარული წარსულის ყველა ტრადიციების დაცვით. ყრილობის მოსამზადებელი პერიოდი წარიმართა მთელი რიგი სამართლებრივი და საწესდებო ნორმების უხეში დარღვევებით.

როგორ იქნა მოწვეული ყრილობა?

აგვისტოს თათბირზე, რომელსაც არ ესწრებოდა გამგეობის ყველა წევრი, „გადაწყვიტეს“ რიგგარეშე ყრილობის მოწვევა.

დაირღვა რიგგარეშე ყრილობის მოწვევის საწესდებო ნორმა (რიგგარეშე ყრილობის მოწვევა შესაძლებელია კონფედერაციის საბჭოს დადგენილებით ან მასში შემავალი ერთი შეხუთედი წევრი ორგანიზაციების კოლეგიალური ორგანოების გადაწყვეტილებით).

რაიონებში ყრილობამდე იქმნებოდა პროფცენტრები, ირჩევდნენ პროფცენტრების თავმჯდომარეებს, ყრილობის დელეგატებს.

საკითხავია, ვისი გადაწყვეტილებით?

ამგვარი სტრუქტურის შექმნა შეიძლება ან პირველადი პროფორგანიზაციების მოთხოვნით ან კონფედერაციის გამგეობის ან საბჭოს გადაწყვეტილებით.

არ ყოფილა არც ერთი და არც მეორე.

ამ კამპანიას რაიონებში ხელმძღვანელობდნენ პრეფექტები და საკრებულოების გამგეებლები. მათი უშუალო ჩარევით რაიონის ზოგიერთი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების თავმჯდომარეების თათბირზე დაინიშნა პროფცენტრის თავმჯდომარეები და ყრილობის დელეგატები. ცხადია, ამგვარად „არჩეულ“ ყრილობის დელეგატებს და რაიონის პროფცენტრის თავმჯდომარეებს არავითარი უფლებამოსილება არ გააჩნიათ.

ყრილობის სამანდატო კომისიას შეეძლო ამგვარი უხეში დარღვევების გამოაშკარავება, მაგრამ ეს არ მოხდა.

ყრილობაზე განსხვავებული აზრის გამოთქმის მცდელობაც კი უხეშად აღიკვეთებოდა.

ამგვარი არაუფლებამოსილი „ყრილობის“ ნებისმიერი გადაწყვეტილება უკანონოა.

უკანონოა ყრილობაზე მიღებული დადგენილება დარგობრივი პროფკავშირების გაუქმების შესახებ.

ამგვარი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კონფედერაციის წესდებას, ხელშეკრულებას და დარგობრივი პროფკავშირების წესდებებს.

უკანონოა ახალი პროფკავშირების შექმნის შესახებ გადაწყვეტილება, უკანონოდ არიან არჩეულნი ამ პროფკავშირის ხელმძღვანელები. აგრეთვე, უკანონოა მათი ნებისმიერი გადაწყვეტილება.

ის სტრუქტურა, რომელიც მათ შექმნეს, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

მსოფლიოს ცივილიზებულ სამყაროში არ არსებობს ანალოგი ამგვარი „პროფკავშირებისა“.

ფაქტობრივად შეიქმნა უაღრესად ცენტრალიზებული (ბევრად უფრო ცენტრალიზებული, ვიდრე ამ 70 წლის განმავლობაში იყო) მშრომელთა მართვის სამმართველო.

ზემოთალნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლად გასაუქმებელია ყრილობის გადაწყვეტილება.

უნდა აღდგეს დარგობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები, შემდეგ სრულ დემოკრატიულ ვითარებაში, ყოველგვარი ჩარევის გარეშე შეიძლება ჩატარდეს საანგარიშო-საარჩევნო კამპანია არჩევნებით ქვევიდან ზევით, საჭიროა შეწყდეს ხელისუფლების კარნახით პროფკავშირული მოღვაწეობის წარმართვა და განსაკუთრებით კი საკადრო პოლიტიკის განხორციელება.

ყველა პირველად ორგანიზაციას უნდა მიეცეს საშუალება, გამოთქვას თავისი აზრი თუ რა სტრუქტურაში სურს მას გაერთიანება. მხოლოდ ამის შემდეგ, ამ სურვილების გათვალისწინებით ჩატარდება რაიონული კონფერენციები, დარგობრივი თუ პროფესიონალური კავშირების ან ასოციაციების ყრილობები. ამის შემდეგ კი შეიძლება დაისვას საკითხი საქართველოს პროფცენტრის ან პროფცენტრების ჩამოყალიბების შესახებ.

ასეთი ცივილიზებული გზით მთელ პროფკავშირულ სტრუქტურებში მოგვევლინებიან ჭეშმარიტი ლიდერები, ახლებურად მოაზროვნე პროფმუშაკები.

მხოლოდ ამნაირი გზით შექმნილმა პროფკავშირებმა შეიძლება ჰპოვონ საყოველთაო საერთაშორისო აღიარება და მხარდაჭერა, მხოლოდ ამგვარად შექმნილი პროფკავშირები იქნება ნამდვილად მშრომელების ინტერესების დამცველი ორგანიზაცია.

საქართველოს პროფმოძრაობის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით

ირაკლი ტუღუში
ზურაბ დიდიშვილი
ილია ხეთერელი

P. S. იმ დროისათვის, როცა წერილი მზადდებოდა დასაბეჭდად, უკანონოდ ლიკვიდირებული რესპუბლიკური პროფორგანიზაციების აღდგენითი პროცესი დაიწყო. ამრიგად, ფართოვდება იმ ორგანიზაციათა რიცხვი, რომლებიც არ ცნობენ ეგრეთ წოდებული „საგანგებო“ ყრილობის გადაწყვეტილებას.

„შანსი“ მარტლაც რომ შანსიანი ქოფილა

გაზეთ „შანსს“ თავისი მკითხველი რომ მრავლად ჰყავს, ეს ყველას მოეხსენება. მაგრამ ეტყობა დრომ და გარემოებებმა იძულეს კიდევ უფრო მეტი მკითხველი მიიზიდოს და ამიტომ საკმაოდ რისკიან რეკლამას მიმართა.

31 ოქტომბერს თბილისის მეტროს მგზავრები, მათ შორის მეც, დიდად გაკვირვებული შევყურებდით მეტროს ავტომატურ სალაროებსა და გასასვლელებს, რომლებზეც სტამბურად დაბეჭდილი ფურცლები მიეკრათ: „დღეს უფასოდ იმგზავრეთ“. იქვე, ვესტიბიულში კი ისხდნენ „შანსის“ მუშაკები და გაზეთზე ხელმოწერას აფორმებდნენ. თუმცა დავინტერესდი, რამდენი დაუჯდებოდათ დღეს მგზავრთა უფასოდ გადაყვანა, მაგრამ ეს ვერ გავარკვიე. ისე კი აღარც ჩავძიებივარ. განა ამას აქვს მნიშვნელობა? საქმე ხომ რეკლამაა! თანაც, ისიც გავიფიქრე, „შანსის“ შანსიანი (ამ სიტყვის კარგი გაგებით) ხელმძღვანელები, რომლებსაც ეტყობა ყველაფერი აწონ-დაწონილი აქვთ, „ამ ზედმეტ ხარჯებს“, როგორც სოციალისტურ სისტემაში იყო მიღებული, ასკეცად თუ არა, ათკეცად მაინც ამოიგებენ.

მაშ, გაუმარჯოს რეკლამასა და შანსიანობას!

ნოდარ ხუდელაშვილი.
საქინფორმის კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა

ამბავი

გასაიდუმლოებული ოქმები... გაზეთში

„გკჩ“-ს წევრთა დაკითხვების ოქმები სრულიად საიდუმლოა და სათანადო ორგანოები ახლაც არ იკარებენ ჟურნალისტებს. მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს აკრძალვა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჟურნალისტებზე გავრცელდება, რამდენადაც, კრიუჩკოვის, იაზოვისა და პავლოვის დაკითხვის ოქმები ახლახანს გამოაქვეყნა გერმანულმა გაზეთმა „შპიგელმა“. რა გზებით მოახერხა და განსაკუთრებით რა დაუჯდა მას ეს, ჯერ-ჯერობით ცნობილი არაა.

ჟურდღბისათვის დაკაკავეს... მილიციელები

უკანასკნელი 4 თვის მანძილზე მოსკოვში შერემეტიევო-2-ის აეროპორტში 274 სისხლის სამართლის დანაშაული მოხდა. ყოველთვიურად აქ ბარგის ქურდობისათვის თითქმის 5 კაცს იჭერენ. მსგავსი დანაშაულისთვის უკვე დაკაკავეს 5 მილიციელი, ამიტომ, თუ რამ მიგაქვთ საზღვარგარეთ ან, განსაკუთრებით კი რაც მოგაქვთ, გირჩევთ ყველაფერი თვითმფრინავის სალონში აიტანოთ.

ო-ს ნაცვლად გ

ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიისა და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოთა გაზეთებმა გამოაქვეყნეს მოსკოვში პუტჩის მონაწილეთა ფოტოები. მათ შორის აღმოჩნდა ცნობილი მწერლის, ჟურნალ „ზნამიას“ მთავარი რედაქტორის გ. ბაკლანოვის ფოტოც, ნაცვლად „გკჩ“-წევრის ო. ბაკლანოვისა. როგორც გაირკვა, ვინაიდან ინგლისის საგენტო „სიპა-პრესს“, რომელმაც გაზეთებს მიაწოდა სლაიდები არ აღმოაჩნდა ო. ბაკლანოვის ფოტოები, ამიტომ ისარგებლეს გ. ბაკლანოვის ფოტოებით. ბოლოს და ბოლოს, რა დაშავდა, განსხვავება ხომ ასოებს შორის იყო მხოლოდ(?!).

ერთი ფეხით გაასწრო

ბეს მეიერსონს, 1945 წლის „მის ამერიკას“, თავს ბანდიტები დაესხნენ შერემეტიევოს აეროპორტში, როცა ის ელოდა რეისს მოსკოვი-იერუსალიმი. ის მოსალაპარაკებლად მიფრინავდა იერუსალიმში, სადაც უნდა ემკურნალათ ჩერნობილის ბავშვებისათვის. ბანდიტები, ცდილობდნენ რა გამოეტაცათ ხელჩანთა, წააქციეს 66 წლის ქალბატონი, რის გამოც მას მოსტეხა ფეხი. საბჭოთა ექიმების გულის გასახეთქად მან უარი განაცხადა ოპერაციის გაკეთებაზე და მოითხოვა სასწრაფოდ გადაეფრინათ ნიუ-იორკში. უველაფერი ამერიკული კინოსავით ბედნიერად დაშთავრდა. ექს „მის ამერიკამ“ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ერთი ფეხით გაასწრო საბჭოთა ბანდიტებს და... ექიმებს.

გამოაძევეს საბჭოთა დიპლომატები

8 საბჭოთა დიპლომატი გამოაძევეს ნორვეგიიდან მოქმედებისათვის, რომელიც მათ სტატუს არ შეეფერებოდა, როგორც გაირკვა, ისინი „ჩაუშვა“ სსრკ-დან გაქცეულმა სუკის უოფილმა აგენტმა მ. ბუტკოვმა. სულ უკანასკნელ ხანს ნორვეგიიდან 47 საბჭოთა დიპლომატი გამოაძევეს.

36 საათი? ო კეი!

უკიდურესი ოპტიმისტები იმედოვნებენ, რომ დამდეგი შიმშილობის პერიოდი რუსეთის მოსახლეობის მხოლოდ მესამედს შეეხება. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია, და ამაზე სერიოზულად კიდეც ფიქრობენ, გამოყენებულ იქნას არმიის საველე სამზარეულოები. მაგრამ არცთუ უკიდურესი ოპტიმისტები ეშვებენ, თუ რამდენს ეყოფა ეს სამზარეულოები, მითუმეტეს დაადგინეს: არმიას თავისი „ამოუწურავი“ მარაგით 150-მილიონიანი რუსეთის კვების უზრუნველყოფა შეუძლია... 36 საათის განმავლობაში. ამის შემდეგ საველე სამზარეულოებში შეუძლიათ ხარშონ მხოლოდ საბრძოლო ნიჩბები.

თუ რამდენი საველე სამზარეულოა საქართველოში, რედაქციისთვის ცნობილი არ არის.

სუკ-ი ამერიკულად

მალე გაუქმდება (თუ სახეს იცვლის) საკავშირო სუკ-ი. მის ნაცვლად შეიქმნება დაზვერვის, კონტრდაზვერვისა და საზღვრების დაცვის რესპუბლიკათშორისი კომიტეტები. ეს დაახლოებით ის სტრუქტურებია, რომლებიც მოქმედებს აღ-ში. ალბათ, ამ ცვლილებების გამოცაა, რომ სსრკ-ს მთავარი მზვერავი და კონტრმზვერავი, სუკის თავმჯდომარე ვადიმ ბაკატინი ქუჩაში ყოველგვარი დაცვის გარეშე დადის.

პრეზიდენტი — „ზნატოკებს“

საიდუმლო არხებით ცნობილი გახდა, რომ სსრკ პრეზიდენტმა „ტელე-ზნატოკებს“ გაუგზავნა კითხვა-გამოცანა. როცა „ზნატოკებმა“ დალუქული პაკეტი გახსნეს, მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბევრის მნახველი და ბევრის ამხსნელი „ზნატოკები“ უძლურნი აღმოჩნდნენ ეპასუხათ პრეზიდენტის მუდარით სავსე გამოცანა-კითხვებზე — რა ვაკეთოთ? ამ პატარა დუელში გამარჯვება პრეზიდენტს დარჩა, თუმცა ეს სიუჟეტი რეჟისორმა ამოჭრა გადაცემიდან.

საზოგადოება „ქართლთან“ არსებული საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1992 წლის დღის და საღამოს დასწრებული სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. საავტომობილო მეურნეობა

2. გზებზე მოძრაობის ორგანიზაცია

3. საავტომობილო ტრანსპორტის ეკონომიკა და მართვა (ინჟინერ-ეკონომისტი)

4. საავტომობილო ტრანსპორტზე საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი

5. საავტომობილო გზების მშენებლობა

6. ხიდების და სატრანსპორტო გვირაბები

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო და საშუალო სპეციალურ განათლების მქონე მოქალაქენი. აბიტურიენტთა შერჩევა მოხდება კონკურსით. სწავლება ქართულ ენაზეა.

დღის და საღამოს დასწრებულ განყოფილებაზე გამოცდები მოეწყობა შემდეგ საგნებში: **1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); 2. მათემატიკა და 3. ფიზიკა (ტესტებით).**

გამოცდების დროს აბიტურიენტთა შეფასება მოხდება 10-ბალიანი სისტემით, სადაც დადებით შეფასებად ჩაითვლება ქულები 6-დან 10-ის ჩათვლით. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში აბიტურიენტთა ჩარიცხვა განხორციელდება არსებული წესის თანახმად.

სტუდენტები სწავლების პირველ და მეორე კურსებზე სპეციალური საგნების გარდა შეისწავლიან ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებს, ხოლო მესამე კურსიდან სურვილისამებრ, სტუდენტი დამატებით შეისწავლის ერთ-ერთ უცხო ენას. ინსტიტუტში იარსებებს უცხო ენის გაძლიერებული სწავლების ჯგუფებიც.

ლექციების წასაკითხად მოწვეულები იქნებიან მაღალი კვალიფიკაციის როგორც ჩვენი, ასევე საზღვარგარეთელი სპეციალისტები.

წარჩინებული სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ინსტიტუტს განზრახული აქვს საერთაშორისო-საექსპერტო კომისიის მონაწილეობით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დიპლომების გაცემა.

ინსტიტუტში სწავლება ფასიანია. სტუდენტის სწავლების საფასური წელიწადში როგორც დღის, ისე საღამოს განყოფილებაზე 8000 მანეთია. სწავლების საფასურს იხდიან როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე გადარიცხვით.

მისაღებ გამოცდებზე დადებითი შეფასების მიღებისას კონკურსის გარეშე ჩარიცხვიან ობლები და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, I და II ჯგუფის ინვალიდები. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მოავალშვილიანი ოჯახებიდან, უდედამამო და ობოლი სტუდენტებისათვის შეიძლება დაწესდეს სწავლების საფასურის შეღავათიანი სიდიდე.

დღის სწავლების წარჩინებული სტუდენტები სწავლის პროცესში მიიღებენ სტიპენდიას. ინსტიტუტში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. საშუალო ან საშუალო სპეციალურ განათლების ატესტატის დედანი

2. შრომის წიგნაკის ამონაწერი

3. სამედიცინო ცნობა

4. ცნობა სანცხოვრებელი ადგილიდან

5. ფოტოსურათი 6 ცალი (ზომა 3X4).

6. პასპორტსა და სამხედრო ბილეთს, ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთების შემოტანასთან ერთად საგამოცდო მომსახურებისათვის აბიტურიენტი იხდის 100 მანეთს.

ინსტიტუტში სწავლება 5-წლიანია.

საბუთები მიიღება 10 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით, ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, საბურთალოს რ-ნი, ბუდაპეშტის ქ. № 1 (მე-18 პროფტექნიკური სასწავლებლის შენობა).

გამოცდები მიეწყობა 11-დან 25 დეკემბრის ჩათვლით. ჩარიცხვა მოხდება 26 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე. სწავლა დაიწყება 1 თებერვალს.

ინსტიტუტის რექტორატი.

ფირმა „ჩი-ჩი“-ს ტურისტული სააგენტო გთავაზობთ:

თუ გსურთ განიკურნოთ გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავისა და ნერვული დაავადებებისაგან, შეიძინეთ ქალაქ იერმალას კომფორტაბელური სამკურნალო-პროფილაქტიკური პანსიონატებისა და სანატორიუმების საგზურები უვალუტოდ (მანეთებში), როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე.

გარანტირებულია კომფორტაბელური ნომრები, 3-ჯერადი კვება, მკურნალობა, გართობა, საუნა, და რაც მთავარია, სულიერი სიმშვიდე.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ფირმა „ჩი-ჩი“-ს ტურისტულ სააგენტოს. **მისამართი: ქ. თბილისი, ანაგის ქ. № 7, „შრომის სასახლე“, მე-18 სართული, ტელეფონი: 38-98-21, 27-47-78, 88-98-81. სოხუმის ფილიალი: ქ. სოხუმი, ორახელა შვილის ქ. № 18, ტელეფონი: 2-64-05, 2-36,05.**

"ალდაგი" - მთელ მსოფლიოში

ALDAGI

თუ თქვენ გადაწყვიტეთ საზღვარგარეთ გამგზავრება, ეს იქნება ჩვეულებრივი მოგზაურობა. საქმიანი ვიზიტი, გასტროლები თუ საორტული შეჯიბრი გახსოვდეთ, რომ უეცარი ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის დროს სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით თქვენ აბსოლუტურად დაუცველი ხართ. ამ პრობლემას ადვილად გადაჭრით, თუ დაუკავშირდებით სადაზღვევო ფირმა **"ალდაგს".**

ფირმა სიამოვნებით აღმოგიჩენთ შემდეგი სახის დახმარებას:

-უეცარი ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევისას შესაბამის ჰოსპიტალურ მკურნალობას ნებისმიერ ქვეყნის საუკეთესო კლინიკაში, მიუხედავად საფასურისა.

-დაშავებულის ან ავადმყოფის სამედიცინო ტრანსპორტირებას.

-დაზარალებულების თანმხლები პირების რეპატრიაციის ხარჯების გაღებას, თუ ეს პირები საქართველოს ან საბჭოთა კავშირის მუდმივი მაცხოვრებლები არიან.

დახმარება აღმოგეჩინებათ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, რისთვისაც საკმარისია დარეკოთ დღე-ღამის ნებისმიერ დროს ჩვენი ფირმის პარიზის ბიუროში.

ფირმა **"ალდაგის"** სამოგზაურო სადაზღვევო პოლისის შეძენა, რომელიც მიღებულია მთელ მსოფლიოში, თქვენ შეგიძლიათ რობორც მყარ ვალუტაზე, ასევე მანეთებზე. ჩვენთან იგი ყველაზე უფრო იაფია.

მაშ ასე, ნუ დაკარგავთ საუკეთესო შესაძლებლობას.
ჩვენი სადაზღვევო პოლისი, თქვენი ჯანმრთელობის გარანტიაა.
დაგპირეკეთ დღესვე ტელ.: 96-54-13, 96-35-60

საინფორმაციო-სარეკლამო სააგენტო „უშბა“

ტურიზმის მოყვარულთა საყურადღებოდ!

ფირმა „მარსი“ გთავაზობთ მოგზაურობას შემდეგი მარშრუტებით თ/ს „ელტონეთით“ — თბილისი — კოპენჰაგენი (დანია) 3,5 დღე—თბილისი. მოგზაურობის ხანგრძლივობა 13-21 ნოემბერი

ღირებულება 6000 მანეთი

თ/ს „ხიმონოვი“—თბილისი—ჰელსინკი (ფინეთი) — თბილისი.

მოგზაურობის ხანგრძლივობა 12-14 დეკემბერი.

ღირებულება 2720 მანეთი

ჩვენი მისამართია მეტეხის ალმართი № 4.

ტელეფონი: 74-15-50; 74-08-20.

ყურადღება!

ნებაყოფლობით თამაშში „არიადნას ძაფის“ მონაწილეობის მსურველთა საყურადღებოდ!

თამაში „არიადნას ძაფი“ საშუალებას გაძლევთ პირველივე ნაბიჯებიდან მიიღოთ გარკვეული მოგება. მოგებულმა თანხამ რეალურად შეიძლება მიაღწიოს თითქმის მილიონს (976500). ფირმის წარმომადგენლობა ზრუნავს ჩვენთან შეძენილი აქციის გასაღებაზე.

მსურველებმა მოგვმართეთ მისამართზე: დ. ალმაშენებლის პრ. 91-ა, კოოპერატივი „ბურჯი“.

გისურვებთ წარმატებას!

ჯაჭვი გაწყდა!?.

ფილიპინების დედაქალაქ მანილაში დამთავრდა მატჩი ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში და ერთბაშად გაჩნდა უამრავი შეკითხვა:

რატომ?

რატომ?

რატომ?

ცხადია, პასუხი ყველას უნდა გაეცეს, მაგრამ ამას გარკვეული დრო სჭირდება.

და ეს, ალბათ, მაია ჩიბურდანიძის — მსოფლიოს ექსჩემპიონის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მოხდება.

რა შეიძლება, ითქვას მანამდე, როგორც იტყვიან, ცხელ გულზე.

მაიას მეტოქე, 21 წლის ჩინელი სტუდენტი სიუ ჟუნი ხელწამოსაკრავი მეტოქე რომ არ ჩანდა, ეს მან ჯერ კიდევ ბორჯომში დაუმტკიცა იმათ, ვინც, ცოტა არ იყოს, ამრეზით ეთამაშებოდა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბორჯომიდან მოყოლებული პრეტენდენტისადმი ეს დამოკიდებულება არ შეცვლილა. ამას ხელს ზოგიერთი ექსპერტიც უწყობდა. მატჩამდე საჭადრაკო ელიტაში, პრესაში იყო საფუძვლიანი მტკიცება, თითქოს ჩემპიონს მანილაში „იოლი გასეირნება“ მოუწევდა.

რა შედეგიც ამას მოყვა, ეს უკვე ყველასათვის არის ცნობილი.

დღეს ბევრი რამ არის გასარკვევი, მაგრამ ერთში ეჭვი არავის ეპარება — მაია ამ მატჩში საოცრად უმწეო და უსუსური ჩანდა.

ძნელი სათქმელია, როგორ მოახერხა მან ეს? მით უფრო ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო ტურნირში კარგი თამაშის შემდეგ.

დამთავრდა მატჩი და გაწყდა ქართველ ქალთა ოცდაათწლიანი უწყვეტი ბატონობა მსოფლიოს საჭადრაკო ტახტრევანზე. მე შენებულად ვწერ გაწყდა-მეთქი, რადგან ეჭვიც არ მეპარება, რომ დედოფლის გვირგვინი მალე ისევ დაბრუნდება საქართველოში. თუმცა ასე სულაც არ ფიქრობს „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტი დ. ფილიპჩენკო, რომელიც დაუფარავი სიხარულით შეხვდა მაიას წაგებას და გაზეთის 30 ოქტომბრის ნომერში (სხვათა შორის, სიუ ჟუნს ამ დღეს 21 წელი შესრულდა, **ბ. ბ.**) პირდაპირ განაცხადა: „შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართველ ქალთა საჭადრაკო სკოლის მონოპოლია დამთავრდა“.

მე თუ მკითხავთ, მაიას, ახლა მარტო იმიტომაც ეტრფინა წაგო მატჩი, რომ ასე ძალიან გაეხარებინა რუსეთი და სხვა მოშურნენი, მისი ჩემპიონობა ხომ სწორედ ახლა სჭირდებოდა დამოუკიდებლობის ძნელ გზაზე შემდგარ საქართველოს. სჭირდებოდა ისეთი დედოფალი, რომელიც ერთგვარი „მთავარი კოზირიც“ კი იქნებოდა ფიდესა თუ სხვა დიდი სპორტული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავში ვთქვი, უამრავი კითხვა დაგროვდა და ბევრი რამ მაიას ჩამოსვლის შემდეგ უნდა გაირკვეს-მეთქი, მაგრამ ერთ-ერთ კითხვას ახლავე შეიძლება გაეცეს პასუხი:

რატომ ერთი ქართველი მოჭადრაკე მაინც არ იყო ჩემპიონის დელეგაციაში, გნებავთ ბანაკში? დავიჯეროთ გარი კასპაროვი თუ ანატოლი კარპოვი უფრო შორს იხედებოდნენ, როცა ბოლო მატჩებში ქართველ მოჭადრაკეებს მიმართავდნენ დასახმარებლად.

გიგლა გოგეჩია

ლორძინება-არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ლორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ტურისტული მოგზაურობები საბჭოთა მანეთებში

ფირმა „ზევსი“ გთავაზობთ:

მხოლოდ მათთვის, ვისაც საკუთარი სიამოვნებისათვის ჭაღალდადქცეული საბჭოთა მანეთები არ ენანება, ფირმა „ზევსი“ აწყობს უაღრესად პრესტიჟულ კრუიზს გერმანიაში, ნორვეგიული წარმოების თბომავლით „ანა კარენინა“—მარშრუტით: ლენინგრადი-ქილი-ლენინგრადი. კრუიზის ხანგრძლივობა 7 დღეა. ამას ემატება ორი დღის განმავლობაში ლენინგრადში მაღალი კლასის სასტუმროში ცხოვრება. ორადგილიან კაიუტაში ერთი საგზურის მინიმალური ფასი 10890 მანეთია. ამ ფასში გათვალისწინებულია ტურისტთა ყველა ხარჯები თბილისიდან თბილისამდე. მანქანების ყიდვის შემთხვევაში ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ მათი გემზე დადებისა. ჯგუფები კომპლექტდება მხოლოდ 15 ნოემბრისთვის.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მოგვმართონ მისამართზე: თბილისი, შანიძის (ყოფილი კალინდაძის) ქ.№3 (სასტუმრო „საქართველოსთან“) მიღების საათები: 11-დან 18 სთ-მდე. დასვენების დღე კვირა. ტელ.: 23-15-58

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო! გახსოვდეთ, რომ ფირმა „ზევსი“ არსებობს და მოღვაწეობს მხოლოდ და მხოლოდ თქვენთვის!

მეობელთა საყურადღებოდ!

ბიოლოგმა **ნინო სისაურმა** განაახლა ავადმყოფ ბავშვთა მიღება დიაგნორებისათვის. ბიოლიკაციის ექსპრეს მეთოდით ექსპოზიციის ხანგრძლივობა 10 წუთი.

მისამართი: თბილისი, გამსახურდიას გამზ. №10. რკინიგზის II პოლიკლინიკა, სამედიცინო აღდგენითი ცენტრი.

მიღება ყოველდღე 16-დან 19 საათამდე.

შაბათს 10-დან 13 საათამდე.

ტელ: 36-01-71.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა საყურადღებოდ

იყიდება დიდი რაოდენობით უმაღლესი ხარისხის ტორფი და ტორფის ქოთნები, რომელიც წარმატებით გამოიყენება, როგორც სანერგე, ასევე სასათბურე მეურნეობაში. ტორფის შეძენა შეიძლება როგორც ნაღდ ფულზე, ასევე გადარიცხვით. ნედლეული გაიყიდება მხოლოდ იმ პირებზე ან ორგანიზაციებზე, რომლებსაც აქვთ სურვილი შეიძინონ ტორფი დიდი რაოდენობით (მინიმუმ 1000 ორკილოგრამიანი პაკეტი.)

მოგვმართეთ მისამართზე: ბუდაპეშტის ქ. №1

ტელეფონი: 37-58-25

ფირმა „არგო“-ს სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

სამედიცინო-აღდგენითი ცენტრი „ჰარმონია“

აცხადებს მსმენელთა მიღებას კოსმეტიკის სწრაფშემსწავლელ კურსებზე. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა მოეწყობა როგორც დილის, ასევე საღამოს საათებში. სწავლის ხანგრძლივობა ერთი თვეა. კურსებს ხელმძღვანელობს დიპლომირებული მაღალკვალიფიციური კოსმეტოლოგი. კურსების დამთავრების შემდეგ მსმენელები მიიღებენ მოწმობას კოსმეტოლოგის სპეციალობით. მსურველთა რეგისტრაცია იწარმოებს 5 ნოემბრამდე.

მისამართი: კ. გამსახურდის გამზირი №10. რკინიგზის №2 საგზაო პოლიკლინიკის შენობაში. დასვენების დღე შაბათი და კვირა.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 36-01-71 — 16სთ-დან 19სთ-მდე.

იყიდება

თანამგზავრის ანტენა „ELTA 505STEREO“. დისტანციური მარვით, ხმის სტერეო მიღებითა და 54 არხის დამახსოვრების შესაძლებლობით. ფასი 35000 მანეთია. ყიდვა შესაძლებელია როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით. დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ დარეკონ ტელეფონზე: 96-72-45.

ვიწვევთ კერძო ავტომანქანების მფლობელებს მოსახლეობის მომსახურებისათვის.

ჩვენთან გაერთიანებულ მძღოლებს გაეწევათ სხვადასხვა სახის, მომსახურება უფასოდ. მისამართი: ქ.თბილისი, ბუდაპეშტის ქ.№1, I სართული.

ფირმა „არგო“

ვცვლი 1 ოთახიან იზოლირებულ ბინას 2 ან 3 ოთახიან ბინაზე ქ.თბილისის ნებისმიერ რაიონში, მეტროსთან ახლოს, ან ცენტრში.

მისამართი: მეტრო ვარკეთილთან მდებარე 8 სართულიანი კორპუსი.

ტელ.: 35-39-17; 78-84-58.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ვიქირავებ ან ვიყიდი ქ.მოსკოვში 2 ან 3 ოთახიან ბინას.

დარეკეთ: 37-58-25 ან 31-02-47

იკითხეთ მანანა

ხალვაზრდა ეროელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

ხაკართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „ხამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.